სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

04 **სექტემბერი, 2026 წ.**

ბრძანება №01-02/167

2026-2027 სასწავლო წლიდან **ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების** საგანმანათლებლო პროგრამაზე/**სპეციალური მასწავლებელის** მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან გასაფორმებელი **ხელშეკრულებების ფორმების დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანების, „პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის **მინისტრის 2024 წლის 01 ივლისის №113/5 ბრძანების,** „იმ საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვთ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს“ **საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მაისის №212 დადგენილების,** ,,საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **დაფინანსების წესისა და პირობების** დადგენის შესახებ“ **საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 ივლისის №359 დადგენილების,** ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1-ის (60 კრედიტიანი) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/125 დადგენილების, „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2-ის (60 კრედიტიანი) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/126 დადგენილების, ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „**სპეციალური** მასწავლებლის მომზადების“ 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №06-01/133 დადგენილების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილის (04/09/2026, MES8260001149118) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **დამტკიცდეს** 60 კრედიტიანი **„ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1“-ზე** (მოდულები: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); 2. ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); 3. ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); 4. გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); 5 რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); 6. ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); 7. სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)) **და** 60 კრედიტიანი **„ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2“**-ზე (მოდულები: 1. მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); 2. ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); 3. ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); 4. გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); 5 ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); 6. ფიზიკური აღზრდა და სპორტი; 7. კომპიუტერული ტექნოლოგიები) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთან გასაფორმებელი **ხელშეკრულების ფორმა,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის შესაბამისად.**
2. **დამტკიცდეს** ბსუ-ს **სპეციალური** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთან გასაფორმებელი **ხელშეკრულების ფორმა,** წინამდებარე ბრძანების **№2 დანართის შესაბამისად.**
3. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/სპეციალური მასწავლებელის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით.
4. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/სპეციალური მასწავლებელის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან დასადები ხელშეკრულებები ბსუ-ს მხრიდან ხელმოწერილი იქნეს რექტორის მიერ (დამოწმდეს რექტორის ფაქსიმილიით).
5. ბსუ-ს **მასწავლებლის მომზადების** საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან გაფორმებული **ხელშეკრულებები აღირიცხოს** (დაინომროს და გატარდეს ჟურნალში) ბსუ-ს რექტორის 2019 წლის №01-02/137 ბრძანებით დადგენილი წესის ანალოგიურად, პროგრამის დასახელების, ფაკულტეტის, კალენდარული წლის და რიგითი ნომრის მიხედვით სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებით (მარჯვნიდან მარცხნივ), კერძოდ:
   ა) სარეგისტრაციო ნომრის ბოლო სიმბოლოდ მიეთითოს პროგრამის შემოკლებული დასახელება - **„მმ“**და გამოიყოს დახრილი ხაზით;
   ბ) დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითოს შესაბამისი ფაკულტეტისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მინიჭებული ორნიშნა კოდი, ხოლო შემდეგ - კალენდარული წლის ბოლო ორი ციფრი და დეფისი;
   გ) დეფისის შემდეგ მიეთითოს გაფორმებული ხელშეკრულების რიგითი ნომერი და გამოიყოს დახრილი ხაზით;

დ) დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითოს ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურით შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისათვის განსაზღვრული სარეგისტრაციო ნომერი.

6. ბსუ-ს **სპეციალური მასწავლებლის** მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები აღირიცხოს (დაინომროს და გატარდეს ჟურნალში) ბსუ-ს რექტორის 2019 წლის №01-02/137 ბრძანებით დადგენილი წესის ანალოგიურად, პროგრამის დასახელების, ფაკულტეტის, კალენდარული წლის და რიგითი ნომრის მიხედვით სარეგისტრაციო ნომრის მიწიჭებით (მარჯვნიდან მარცხნივ), კერძოდ:

   ა) სარეგისტრაციო ნომრის ბოლო სიმბოლოდ მიეთითოს პროგრამის შემოკლებული დასახელება **- „სპ.მ“და** გამოიყოს დახრილი ხაზით;

   ბ) დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითოს შესაბამისი ფაკულტეტისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მინიჭებული ორნიშნა კოდი, ხოლო შემდეგ კალენდარული წლის ბოლო ორი ციფრი და დეფისი;

   გ) დეფისის შემდეგ მიეთითოს გაფორმებული ხელშეკრულების რიგითი ნომერი და გამოიყოს დახრილი ხაზით;

   დ) დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითოს ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურით შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისათვის განსაზღვრული სარეგისტრაციო წომერი.

7. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
8. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.№30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,2026-2027 სასწავლო წლიდან ბსუ-ს **მასწავლებლის** მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/**სპეციალური** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების ფორმების დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 04 **სექტემბრის №01-02/**167 **ბრძანების**
დანართი №1

(მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა)

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "____"_____" 20_ წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი" ან ,,ბსუ"), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ..... მიერ და

მეორე მხრივ ..... - ბსუ-ს **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1/** - ბსუ-ს **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2** (შემდეგში - **,,მასწავლებლის მომზადების პროგრამა"** /,,პროგრამა"; **კრედიტების რაოდენობა: 60; ხანგრძლივობა: 1 სასწავლო წელი)** <u>ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი</u> (შემდეგში ,,**მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი"**) **ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:**

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ პირთან" სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაცია, საქართველოს კანონმდებლობის, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით** დამტკიცებული „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის" და ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

1.2. ბსუ-ს სამართლებრივი აქტები: ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, ბსუ-ს შინაგანაწესი, სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება ბსუ-ს სასწავლო პროცესს ან/და აწესრიგებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობას, <u>წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.</u>

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით სტუდენტისათვის განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები (ასახულია ,,სტუდენტის გზამკვლევში") სრულად გავრცელდება ბსუ-ს ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე", თუკი წინამდებარე ხელშეკრულება ან/და საქართველოს კანონმდებლობა სხვაგვარად არ განსაზღვრავს ან/და სხვაგვარად არ აწესრიგებს შესაბამის ურთიერთობას (საქართველოს კანონმდებლობით, პროგრამის განხორციელების რეგულაციებით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით).

1.4. **ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება** (რეგულირდება): ა) ბსუ-ში შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი დებულებები (თავი II); ბ) ბსუ-ში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი (თავი III); გ) უნივერსიტეტის სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები (თავი IV); დ) ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი (თავი V).

1.5. „მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი“ **ადასტურებს,** რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე (ხელმოწერამდე) **გაეცნო** და ბსუ-ში ჩარიცხვისათვის რეგისტრაციის პროცესში ბსუ-ს მიერ დამატებით მიეწოდა ინფორმაცია ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული **ბსუ-ს რეგულაციების შესახებ** (ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, **ბსუ-ს შინაგანაწესი** (რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად განიხილება), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ბსუ-ს სტუდენტის გზამკვლევი, სტუდენტის სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაცია/რეგულაციები სტუდენტის უფლება-მოვალეობების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, „მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის“ სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და სტუდენტური სერვისების შესახებ), **რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე** - www.bsu.edu.ge (ველში „იურიდიული ცნობარი“ და ველში -„სწავლა“ - „სტუდენტის გზამკვლევი“).

1.6. **სასწავლო** სემესტრის დაწყებისა და დასრულების თარიღი (აკადემიური კალენდარი), ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები, განისაზღვრება ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით, რომელიც ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში - „სწავლა“- „აკადემიური კალენდარი“).

1.7. ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ ინფორმაცია/რეგულაცია, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო აქტები და ბსუ-ს რეგულაციები/სამართლებრივი აქტები განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში: იურიდიული ცნობარი“/ ველში „სწავლა“- „„სტუდენტის გზამკვლევი“).

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. „მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის“ **უფლებებია:**

ა) უნივერსიტეტისაგან მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება;

ბ) სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოში;

გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, გაასაჩივროს მიღებული შეფასების შედეგები ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით/საგამოცდო ინსტრუქციით დადგენილ ვადაში და წესით;

დ) საქართველოს კანონმდებლობის და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეიჩეროს ან შეიწყვიტოს „მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის“ სტატუსი;

ე) მონაწილეობა მიიღოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებაში, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში;

ვ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დაწესებული სხვა უფლებებით.

2.2. „მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი“ **ვალდებულია:**

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სასწავლო კურსები/კომპონენტები) და შეასრულოს შესაბამისი სასწავლო კურსების (კომპონენტების) სილაბუსებით გათვალისწინებული აკადემიური აქტივობა/სამუშაო;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის საფასური (თუკი ექვემდებარება ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლას);

გ) სისტემატურად ისარგებლოს „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით“/„სტუდენტური პორტალით“, რომლის საშუალებით სტუდენტებს მიეწოდება

უნივერსიტეტის შეტყობინებები/ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და გამოცემული სამართლებრივი აქტების თაობაზე;

დ) უნივერსიტეტთან კომუნიკაციისათვის (ინფორმაციის, ცნობების მიღება-მოთხოვნისათვის) ისარგებლოს სტუდენტური პორტალით და პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინოს ინფორმაცია სტუდენტურ პორტალზე/ელექტრონულ სისტემაში, მის პირად პროფილში ასახვის მიზნით;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს, რომლებიც გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდის (www.bsu.edu.ge) **ველებში:** ,,იურიდიული ცნობარი", **,,სტუდენტის გზამკვლევი"**, ასევე განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე/საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფაზე;

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, არ დაუშვას უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა; დროულად დააბრუნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები და მასალები და დაიცვას ,,ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის" მოთხოვნები;

ზ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის შესახებ საუნივერსიტეტო რეგულაციის და უნივერსიტეტის სხვა რეგულაციების მოთხოვნები.

2.3. უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურებით;

ბ) უზრუნველყოს ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" მიერ პროგრამაზე ჩარიცხულ სხვა პირებთან/სტუდენტებთან თანაბარ პირობებში უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით სარგებლობა, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო საუნივერსიტეტო გარემოში;

გ) ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" ცოდნა შეაფასოს სამართლიანად და უზრუნველყოს მის მიერ მიღებული შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების რეალიზაცია;

დ) უზრუნველყოს ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი" პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში მონაწილეობის უფლებით;

ე) არ დაუშვას ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" დისკრიმინაცია, ასევე უზრუნველყოს მისი პერსონალური ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" მიერ საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და სხვა სამართლებრივი აქტებით დაწესებული სხვა უფლებებით სარგებლობას.

2.4. **უნივერსიტეტი უფლებამოსილია:**

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, განსაზღვროს სასწავლო წლის კალენდარი, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები;

ბ) გამოსცეს სამართლებრივი აქტები საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ბსუ-ს სხვა რეგულაციების და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით.

მუხლი 3. სწავლის საფასურის ოდენობა, გადახდის წესი და სხვა პირობები

3.1. ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" **სწავლების ერთი წლის საფასური განისაზღვრება** საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 ივლისის №359 დადგენილების დანართით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების წესისა და პირობების" შესაბამისად, "საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე საგანმანათლებლო პროგრამების ღირებულების" მიხედვით (ერთი სასწავლო წლის საფასური იყოფა ორ სემესტრზე), მათ შორის:

ა) 2026-2027 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის შეადგენს - **1125 ლარს,**

ბ) მე-2 სასწავლო სემესტრის სწავლის საფასური შეადგენს **1250 ლარს;**

3.2. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 ივლისის №359 დადგენილების თანახმად, **სახელმწიფოს მიერ საბაზო დაფინანსება უზრუნველყოფილია 2 სასწავლო სემესტრის განმავლობაში**. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხული პირი **სრულად თავისუფლდება** სემესტრული გადასახადისგან.

3.3. **ამ მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ ჩაითვლება:**

ა) შემოდგომის სემესტრი, თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული ჰქონდა შესაბამისი წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით;

ბ) გაზაფხულის სემესტრი, თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული ჰქონდა შესაბამისი წლის 01 აპრილის მდგომარეობით.

3.4. თუ ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა" შესაბამისი პროგრამის დამთავრებისათვის საჭირო კრედიტების რაოდენობა ვერ დააგროვა პროგრამით დადგენილ ვადაში (პროგრამის ხანგრძლივობა), დამატებით სემესტრში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის საფასური სრულად (შესაბამის სასწავლო წელს ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის" დადგენილი სემესტრული სწავლის საფასურის შესაბამისად. აღნიშნული გარემოების დადგომის შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმდება ახალი ხელშეკრულება/შეთანხმება).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტა და შეჩერება

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია **2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან (28/09/2026 წ.)** და მოქმედებს ამ პროგრამაზე ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტამდე პერიოდში;

4.2. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან სრულად შეასრულონ სტატუსის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები.

4.3. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული შემთხვევა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

დ) ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის** შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ე) გარდაცვალება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

4.4. ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის" სტატუსის შეჩერებად განიხილება ბსუ-ს და ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის" უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

4.5. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელობა;

გ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა (სწავლის საფასურის გადაუხდელობა), თუკი პირი ექვემდებარება ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლას;

დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

ე) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევა.

4.6. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით პირმა განცხადებით უნდა მიმართოს ბსუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან **არაუგვიანეს 15 დღისა.** ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში, როცა დოკუმენტურად დასტურდება პირის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

4.7. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების/სასწავლო პროცესში დაბრუნების (აღდგენის/სტატუსის გააქტიურების), სტატუსის შეწყვეტის პროცედურა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა რეგულაცია, დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს წესდების შესაბამისად შემუშავებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე ,,სტუდენტის გზამკვლევში", სტუდენტთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებთან ერთად).

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის განაცხადი

5.1. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი <u>(მონაცემთა სუბიექტი) აცხადებს ინფორმირებულ თანხმობას,</u> ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის", ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის და ,,სტუდენტთა ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, რეგისტრაციის/საცხოვრებელი მისამართი, ფოტო) და ბსუ-ს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მონაცემები (დასწრების, შეფასების შედეგების, სერტიფიკატის/სერტიფიკატის დანართის დამზადებისა და გაცემის შესახებ), აგრეთვე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), საგანმანათლებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისათვის (მათ შორის სტუდენტურ პორტალზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსება და სხვა).

5.2. მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ ინფორმირებულია ბსუ-ს ტერიტორიაზე (შესასვლელები, გარე პერიმეტრი, ეზო, დერეფნები, კიბის უჯრედები, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები) უსაფრთხოებისა და ქონების დაცვის მიზნით მიმდინარე 24-

საათიანი ვიდეომონიტორინგის შესახებ, ასევე საგამოცდო სივრცეებში – ვიდეომონიტორინგის გამოცდების/ტესტირების პერიოდში განხორციელების თაობაზე, „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" შესაბამისად.

5.3. მონაცემთა სუბიექტი ასევე აცხადებს თანხმობას, რომ ბსუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე გადაღებული მისი ფოტო/ვიდეო მასალა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა საინფორმაციო რესურსებში. მონაცემთა სუბიექტი აცხადებს წინასწარ თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების გადაცემაზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესში ჩართული ორგანიზაციებისათვის, თუ აღნიშნული აუცილებელია უნივერსიტეტის სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად ან ბსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

5.4. მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ბსუ უზრუნველყოფს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით. მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს (აცხადებს), რომ ინფორმირებულია მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

5.5. მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ, რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

5.6. მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ მას აქვს უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე გამოიხმოს **წინამდებარე ხელშეკრულებით გაცხადებული** თანხმობა, რის შემდეგაც ბსუ შეწყვეტს მონაცემთა დამუშავებას, თუ არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძველი.

5.7. მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა" განთავსებულ ,,სტუდენტთა გზამკვლევში" (თავი: ,,სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და პერსონალური მონაცემების დამუშავება").

5.8. მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეუძლია მიმართოს ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. ამ ხელშეკრულებაში ცვლილება ან დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები ან დამატებები ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ძალაში შედის მხოლოდ მხარეთა ხელმოწერის შემდეგ.

6.2. საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს ხელშეკრულება, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

6.5. ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული რომელიმე რეკვიზიტის შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია უმოკლეს ვადაში წერილობით აცნობოს ხელშეკრულების მეორე მხარეს.

6.6. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

„ბსუ"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის / ნინოშვილის ქ. №32/35;

ბსუ-ს ვებგვერდი - www.bsu.edu.ge.

ელფოსტა: info@bsu.edu.ge

ბსუ-ს რექტორი

(ხელმოწერა)

,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების
პროგრამაზე ჩარიცხული პირი"

სახელი, გვარი: .....
პირადობის მოწმობის №_ _ _ _ _ _
პირადი № _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
ფაქტობრივი
მისამართი .....
რეგისტრაციის
მისამართი .....
ტელეფონი .....
ელფოსტა .....

(ხელმოწერა)

,,2026-2027 სასწავლო წლიდან ბსუ-ს **მასწავლებლის** მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/**სპეციალური** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების ფორმების დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 04 **სექტემბრის №01-02/**167 **ბრძანების**
დანართი №2

(სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა)

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "_____"_____" 20_ წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი" ან ,,ბსუ"), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ..... მიერ და

მეორე მხრივ ბსუ-ს სპეციალური **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** (შემდეგში - **,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა"** /,,პროგრამა"; **კრედიტების რაოდენობა: 60; ხანგრძლივობა: 1 სასწავლო წელი)** ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი ..... (შემდეგში **,,მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:**

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ პირთან" სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაცია, საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს **განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის** მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის" და ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

1.2. ბსუ-ს სამართლებრივი აქტები: ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, ბსუ-ს შინაგანაწესი, სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება ბსუ-ს სასწავლო პროცესს ან/და აწესრიგებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობას, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით სტუდენტისათვის განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები (ასახულია ,,სტუდენტის გზამკვლევში") სრულად გავრცელდება ბსუ-ს ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე", თუკი წინამდებარე ხელშეკრულება ან/და საქართველოს კანონმდებლობა სხვაგვარად არ განსაზღვრავს ან/და სხვაგვარად არ აწესრიგებს შესაბამის ურთიერთობას (საქართველოს კანონმდებლობით, პროგრამის განხორციელების რეგულაციებით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით).

1.4. **ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება** (რეგულირდება): ა) ბსუ-ში შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი დებულებები (თავი II); ბ) ბსუ-ში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი (თავი III); გ) უნივერსიტეტის სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები (თავი IV); დ) ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი (თავი V).

1.5. „სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი“ **ადასტურებს,** რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე (ხელმოწერამდე) **გაეცნო** და ბსუ-ში ჩარიცხვისათვის რეგისტრაციის პროცესში ბსუ-ს მიერ დამატებით მიეწოდა ინფორმაცია ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული **ბსუ-ს რეგულაციების შესახებ** (ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, **ბსუ-ს შინაგანაწესი** (რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად განიხილება), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ბსუ-ს სტუდენტის გზამკვლევი, სტუდენტის სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაცია/რეგულაციები სტუდენტის უფლება-მოვალეობების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, „სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის“ სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და სტუდენტური სერვისების შესახებ), **რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე** - www.bsu.edu.ge (ველში „იურიდიული ცნობარი“ და ველში -„სწავლა“ - „სტუდენტის გზამკვლევი“).

1.6. **სასწავლო** სემესტრის დაწყებისა და დასრულების თარიღი (აკადემიური კალენდარი), ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები, განისაზღვრება ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით, რომელიც ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში - „სწავლა“- „აკადემიური კალენდარი“).

1.7. ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ ინფორმაცია/რეგულაცია, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო აქტები და ბსუ-ს რეგულაციები/სამართლებრივი აქტები განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში: იურიდიული ცნობარი“/ ველში „სწავლა“- „„სტუდენტის გზამკვლევი“).

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. „სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის“ **უფლებებია:**

ა) უნივერსიტეტისაგან მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება;

ბ) სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოში;

გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, გაასაჩივროს მიღებული შეფასების შედეგები ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით/საგამოცდო ინსტრუქციით დადგენილ ვადაში და წესით;

დ) საქართველოს კანონმდებლობის და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეიჩეროს ან შეიწყვიტოს „სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის“ სტატუსი;

ე) მონაწილეობა მიიღოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებაში, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში;

ვ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დაწესებული სხვა უფლებებით.

2.2. „სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი“ **ვალდებულია:**

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სასწავლო კურსები/კომპონენტები) და შეასრულოს შესაბამისი სასწავლო კურსების (კომპონენტების) სილაბუსებით გათვალისწინებული აკადემიური აქტივობა/სამუშაო;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის საფასური (თუკი ექვემდებარება ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლას);

გ) სისტემატურად ისარგებლოს „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით“/„სტუდენტური პორტალით“, რომლის საშუალებით სტუდენტებს მიეწოდება

უნივერსიტეტის შეტყობინებები/ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და გამოცემული სამართლებრივი აქტების თაობაზე;

დ) უნივერსიტეტთან კომუნიკაციისათვის (ინფორმაციის, ცნობების მიღება-მოთხოვნისათვის) ისარგებლოს სტუდენტური პორტალით და პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინოს ინფორმაცია სტუდენტურ პორტალზე/ელექტრონულ სისტემაში, მის პირად პროფილში ასახვის მიზნით;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს, რომლებიც გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდის (www.bsu.edu.ge) **ველებში:** ,,იურიდიული ცნობარი", **,,სტუდენტის გზამკვლევი"**, ასევე განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე/საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფაზე;

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, არ დაუშვას უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა; დროულად დააბრუნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები და მასალები და დაიცვას ,,ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის" მოთხოვნები;

ზ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის შესახებ საუნივერსიტეტო რეგულაციის და უნივერსიტეტის სხვა რეგულაციების მოთხოვნები.

2.3. უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურებით;

ბ) უზრუნველყოს ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" მიერ ,,პროგრამაზე" ჩარიცხულ სხვა პირებთან/სტუდენტებთან თანაბარ პირობებში უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით სარგებლობა, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო საუნივერსიტეტო გარემოში;

გ) ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" ცოდნა შეაფასოს სამართლიანად და უზრუნველყოს მის მიერ მიღებული შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების რეალიზაცია;

დ) უზრუნველყოს ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირი" პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში მონაწილეობის უფლებით;

ე) არ დაუშვას ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" დისკრიმინაცია, ასევე უზრუნველყოს მისი პერსონალური ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" მიერ საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და სხვა სამართლებრივი აქტებით დაწესებული სხვა უფლებებით სარგებლობას.

2.4. **უნივერსიტეტი უფლებამოსილია:**

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, განსაზღვროს სასწავლო წლის კალენდარი, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები;

ბ) გამოსცეს სამართლებრივი აქტები საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ბსუ-ს სხვა რეგულაციების და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით.

მუხლი 3. სწავლის საფასურის ოდენობა, გადახდის წესი და სხვა პირობები

3.1. ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირის" **სწავლების ერთი წლის საფასური განისაზღვრება** საქართველოს **მთავრობის 2026 წლის 30 ივლისის №359 დადგენილების** დანართით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების წესისა და პირობების" შესაბამისად, "საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე საგანმანათლებლო პროგრამების ღირებულების" მიხედვით (ერთი სასწავლო წლის საფასური იყოფა ორ სემესტრზე), მათ შორის:

ა) 2026-2027 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის შეადგენს - **1125 ლარს,**

ბ) მე-2 სასწავლო სემესტრის სწავლის საფასური შეადგენს **1250 ლარს;**

3.2. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 ივლისის №359 დადგენილების თანახმად, **სახელმწიფოს მიერ საბაზო დაფინანსება უზრუნველყოფილია 2 სასწავლო სემესტრის განმავლობაში**. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხული პირი **სრულად თავისუფლდება** სემესტრული გადასახადისგან.

3.3. **ამ მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ ჩაითვლება:**

ა) შემოდგომის სემესტრი, თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული ჰქონდა შესაბამისი წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით;

ბ) გაზაფხულის სემესტრი, თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული ჰქონდა შესაბამისი წლის 01 აპრილის მდგომარეობით.

3.4. თუ ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა" შესაბამისი პროგრამის დამთავრებისათვის საჭირო კრედიტების რაოდენობა ვერ დააგროვა პროგრამით დადგენილ ვადაში (პროგრამის ხანგრძლივობა), დამატებით სემესტრში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის საფასური სრულად (შესაბამის სასწავლო წელს ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის" დადგენილი სემესტრული სწავლის საფასურის შესაბამისად. აღნიშნული გარემოების დადგომის შემთხვევაში, მხარეთა შორის **გაფორმდება ახალი ხელშეკრულება/შეთანხმება).**

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტა და შეჩერება

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია **2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან (28/09/2026 წ.)** და მოქმედებს ამ პროგრამაზე ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტამდე პერიოდში;

4.2. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან სრულად შეასრულონ სტატუსის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები.

4.3. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული შემთხვევა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

დ) ჯამში 5 წლის განმავლობაში ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის** შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ე) გარდაცვალება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

4.4. ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის" სტატუსის შეჩერებად განიხილება ბსუ-ს და ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის" უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

4.5. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელობა;

გ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა (სწავლის საფასურის გადაუხდელობა), თუკი პირი ექვემდებარება ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლას;

დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

ე) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევა.

4.6. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით პირმა განცხადებით უნდა მიმართოს ბსუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან **არაუგვიანეს 15 დღისა.** ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში, როცა დოკუმენტურად დასტურდება პირის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

4.7. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების/სასწავლო პროცესში დაბრუნების (აღდგენის/სტატუსის გააქტიურების), სტატუსის შეწყვეტის პროცედურა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა რეგულაცია, დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს წესდების შესაბამისად შემუშავებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე ,,სტუდენტის გზამკვლევში", სტუდენტთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებთან ერთად).

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის განაცხადი

5.1. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი (მონაცემთა სუბიექტი) აცხადებს ინფორმირებულ თანხმობას, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის", ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის და ,,სტუდენტთა ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, რეგისტრაციის/საცხოვრებელი მისამართი, ფოტო) და ბსუ-ს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მონაცემები (დასწრების, შეფასების შედეგების, სერტიფიკატის/სერტიფიკატის დანართის დამზადებისა და გაცემის შესახებ), აგრეთვე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), საგანმანათლებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისათვის (მათ შორის სტუდენტურ პორტალზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსება და სხვა).

5.2. მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ ინფორმირებულია ბსუ-ს ტერიტორიაზე (შესასვლელები, გარე პერიმეტრი, ეზო, დერეფნები, კიბის უჯრედები, კომპიუტერული კლასები,

ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები) უსაფრთხოებისა და ქონების დაცვის მიზნით მიმდინარე 24-საათიანი ვიდეომონიტორინგის შესახებ, ასევე საგამოცდო სივრცეებში – ვიდეომონიტორინგის გამოცდების/ტესტირების პერიოდში განხორციელების თაობაზე, „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" შესაბამისად.

5.3. <u>მონაცემთა სუბიექტი ასევე აცხადებს თანხმობას,</u> რომ ბსუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე გადაღებული მისი ფოტო/ვიდეო მასალა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა საინფორმაციო რესურსებში. <u>მონაცემთა სუბიექტი აცხადებს წინასწარ თანხმობას</u> მისი პერსონალური მონაცემების გადაცემაზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესში ჩართული ორგანიზაციებისათვის, თუ აღნიშნული აუცილებელია უნივერსიტეტის სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად ან ბსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

5.4. <u>მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია</u> მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ბსუ უზრუნველყოფს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით. მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს (აცხადებს), რომ ინფორმირებულია მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

5.5. <u>მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია</u> მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ, რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

5.6. <u>მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ</u> მას აქვს უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე გამოიხმოს **წინამდებარე ხელშეკრულებით გაცხადებული** თანხმობა, რის შემდეგაც ბსუ შეწყვეტს მონაცემთა დამუშავებას, თუ არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძველი.

5.7. <u>მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ</u> პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში „სწავლა" განთავსებულ „სტუდენტთა გზამკვლევში" (თავი: „სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და პერსონალური მონაცემების დამუშავება").

5.8. მონაცემთა სუბიექტი აცხადებს, რომ ინფორმირებულია პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეუძლია მიმართოს ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. ამ ხელშეკრულებაში ცვლილება ან დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები ან დამატებები ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ძალაში შედის მხოლოდ მხარეთა ხელმოწერის შემდეგ.

6.2. საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს ხელშეკრულება, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

6.5. ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული რომელიმე რეკვიზიტის შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია უმოკლეს ვადაში წერილობით აცნობოს ხელშეკრულების მეორე მხარეს.

6.6. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

„ბსუ"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის / ნინოშვილის ქ. №32/35;

ბსუ-ს ვებგვერდი - www.bsu.edu.ge.

ელფოსტა: info@bsu.edu.ge

ბსუ-ს რექტორი

(ხელმოწერა)

,,ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის
მომზადების პროგრამაზე
ჩარიცხული პირი"

სახელი, გვარი: .....
პირადობის მოწმობის №_ _ _ _ _ _
პირადი № _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
ფაქტობრივი
მისამართი .....
რეგისტრაციის
მისამართი .....
ტელეფონი .....
ელფოსტა .....

(ხელმოწერა)